პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 142 (10839) | სამშაბათი, 18 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

განვაბორციელოთ პროფკავშირთა მუშაობის გარდაქმნა. — „პრავდის“ 17-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).

დავეხმაროთ ყამირი მიწების მშრომელებს სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი (1-ლი გვერდი).

გ. ბახტაძე, ვ. თორდუა. — მეცხვარეთა დღესასწაული (1-ლი გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — **თ. ცხვედიანი.** — გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლა (მე-2 გვერდი).

ილია კიულლიოვსკი. — გიორგი დიმიტროვი (მე-2 გვერდი).

სასკოლო ცხოვრება. — **ზ. ჩილაჩავა.** — გზა მშვიდობისა, ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თელაველთა შოწოდების პასუხად. გაძლიერდა სკოლებისათვის ზრუნვა (მე-2 გვერდი).

მ. ვარდოსანიძე. — დიმელ მეევნახეებთან (მე-3 გვერდი).

მკითხველები წიგნების შესახებ. — ივ. ქავთარაძე. — „ქართული ენის კახური დიალექტი“.

დ. ცხომარია. — კარგი სახელმძღვანელო ნიადაგმცოდნეობაში (მე-3 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ წესრიგი და სისუფთავე (მე-3 გვერდი).

შ. კურდღელაშვილი, რ. ბარკალაია. — ეგვიპტელი ხალხის ეროვნული დღესასწაული (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განვახორციელოთ პროფკავშირთა მუშაობის გარდაქმნა

ამ დღეებში გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს მეექვსე პლენუმი. პლენუმმა განიხილა პროფესიული კავშირების ამოცანები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით და მიიღო სათანადო დადგენილება.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე საჭიროა პროფესიული კავშირების მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი როლის ამაღლება.

ვ. ი. ლენინს პროფკავშირთა მთავარ ამოცანად მიაჩნდა, რომ ისინი ყოფილიყვნენ ახალი ცხოვრების მშენებლები, აღმზრდელები მშრომელთა მრავალი მილიონი მასებისა, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით სწავლობდნენ სახელმწიფოს მართვას, წარმოების მართვას. პროფკავშირები, აღნიშნავდა იგი, „არიან აღმზრდელობითი ორგანიზაცია, მოზიდვის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის სკოლა, მართვის სკოლა, მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი პროფკავშირები გაიზარდნენ გიგანტურ ძალად: მათს რიგებში ახლა 47 მილიონზე მეტი კაცია. საბჭოთა სახელმწიფოს 40 წლის მთელ სახელოვან გზაზე პროფკავშირები აქტიურად ეხმარებოდნენ პარტიას სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში. პარტიის XX ყრილობის შემდეგ მათი როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზარდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა ახალი ძალით აღნიშნეს პროფკავშირთა მთელი საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების დიდი მნიშვნელობა.

მაგრამ უკანასკნელ ხანს პროფკავშირთა მუშაობაში მიღწეული ერთგვარი გამოცოცხლება ვერ დაფარავს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც მათ ჯერ კიდევ აქვთ. ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია სათანადო ინიციატივასა და სიმტკიცეს ვერ იჩენს საწარმოთა და მშენებლობათა საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესების ძირეული საკითხების გადაჭრაში, სრულად ვერ იყენებს მეურნეობის მართვაში მუშათა და მოსამსახურეთა ფართოდ მოზიდვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების შესაძლებლობებს. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოები, მათ შორის საკავშირო პროფსაბჭოც ადგილებთან, ძირეულ ორგანიზაციებთან სუსტი კავშირის გამო.

პროფესიული კავშირების მუშაობის ნაკლოვანებანი ბევრად აიხსნება იმით, რომ მათი ორგანიზაციული სტრუქტურა ახლა უკვე აღარ შეეფერება ცხოვრების მოთხოვნებს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ინტერესებს. გამართლებულად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პროფკავშირთა მეტად დიდი რიცხვის არსებობა.

წარმოების მართვის გარდაქმნა, რაც ამჟამად ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის კომუნისტურ მშენებლობაში პროფკავშირთა როლის ამაღლებისათვის. ეს შესაძლებლობას მისცემს მათ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საწარმოთა და მშენებლობათა საწარმოო საქმიანობის, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრაში.

ახალი პირობების გათვალისწინებით საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა საჭიროდ ცნო განახორციელოს პროფესიული კავშირების მუშაობის გარდაქმნა. ძირითადად მოწონებულია წინადადებანი, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და რომლებიც ითვალისწინებენ პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრის გადატანას ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, პროფკავშირთა გამსხვილებას, წარმოების მართვისათვის მშრომელთა მოზიდვის საქმეში მათი საქმიანობის გაუმჯობესებას. ამასთან პლენუმზე გათვალისწინებულ იქნა წინადადებანი, რომლებიც მშრომელებმა გამოთქვეს პროფკავშირთა მუშაობის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს. პლენუმმა დაავალა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს შეიმუშაოს და დაამტკიცოს ორგანიზაციული ღონისძიებანი მთელი რიგი პროფკავშირების გაერთიანებისათვის.

ახლა, ისევე როგორც წინათ, საბჭოთა პროფკავშირები აშენდება საწარმოო პრინციპის მიხედვით დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე. მათი ასეთი აგება უზრუნველყოფს იმას, რომ შეხამებულ იქნას პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა ადგილობრივი პროფკავშირული ორგანოების, მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებასთან. პროფკავშირების გამსხვილებით შესაძლებელი გახდება გავაუქმოთ იქ ზედმეტი სტრუქტურული დანაწილება, განვამტკიცოთ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანოები, შევამციროთ ფასიანი აპარატი.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა ამაღლდეს პროფკავშირთა საბჭოების როლი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ოპერატიულ ხელმძღვანელობაში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, მიენიჭოთ მათ მეტი უფლებანი, გაფართოვდეს მათი მოვალეობების წრე. პროფკავშირთა საბჭოები უნდა გახდნენ უფლებამოსილი ორგანოები, რომლებსაც შეეძლებათ განახორციელონ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ყოველდღიური და კონკრეტული ხელმძღვანელობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობაში.

პროფკავშირთა ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება თვითმიზანი კი არ არის, არამედ მათი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების, ფართო პროფკავშირული მასების აქტივობისა და თვითმოქმედების აღმავლობის საშუალებაა. პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა შეუპოვრად იბრძოლონ სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭრებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მრეწველობისა და მშენებლობის რეზერვების გამოვლენებისა და გამოყენებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ჩადდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან განუხრელად აუმჯობესონ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს ყველა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი.

ადამიანისათვის, მისი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ყოველთვის უნდა იყოს ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ისინი უნდა ახორციელებდნენ საზოგადოებრივ კონტროლს სამინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი, საზოგადოებრივი კვების და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა საქმიანობისადმი. საჭიროა გავაუმჯობესოთ პროფკავშირების აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

პროფკავშირთა მუშაობის გარდაქმნის წარმატება უაღრესად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ მუშაობაში ფართო პროფკავშირული მასები. ეს მოითხოვს პირველადი ორგანიზაციების ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას, პროფკავშირული დემოკრატიის განვითარებას. საჭიროა რეგულარულად იქნას მოწვეული პროფკავშირთა წევრების კრებები და კონფერენციები, გაჩაღდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პროფკავშირული ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან გადაჭრით უნდა განიდევნოს ბიუროკრატიზმი და კაბინეტურობა, ქაღალდების თხზვა და სასხდომო ფუსფუსი. ახლა საჭიროა განვამტკიცოთ პროფკავშირთა საბჭოები და სხვა ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოები გამოცდილი, საქმის მცოდნე, ინიციატივიანი კადრებით საზოგადოებრივი მუშაკი აქტივისტებისაგან, წარმოების მოწინავეებისაგან, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ამჟამად, როცა ხორციელდება პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნა, პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ მათ. საჭიროა სისტემატურად და ღრმად ჩავწვდეთ პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი მათ წინაშე მდგომი დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულებას.

საბჭოთა პროფკავშირებს არა აქვთ სხვა ინტერესები, გარდა სოციალისტური სამშობლოს აყვავების ინტერესებისა. აუმჯობესებენ და სრულყოფენ რა თავიანთ მუშაობას, ისინი კიდევ უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი პარტიის დიად წინასწარმეტყველებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის“ 17-VI მოწინავე.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, 14 ივნისს გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების სრულიად საკავშირო თათბირი.

დარბაზში შეიკრიბნენ უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი პარტიული სკოლის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის კათედრების გამგეები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების მდივნები და განყოფილებათა გამგეები, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისა და მისი ფილიალების, მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები, დიდ უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორები და პარტორგანიზაციათა მდივნები — სულ 2.500-ზე მეტი კაცი.

თათბირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ტ შეპილოვმა.

მოხსენება „სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ფ. ვ. კონსტანტინოვმა.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად შექმნა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ა. კ. კელენჯერიძე. (საქდესი).

დავეხმაროთ ყამირი მიწების მშრომელებს სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი!

„გთხოვთ გამგზავნოთ“

ახალგაზრდები ინტერესით ეცნობიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და მხურვალედ იწონებენ მას. ბევრმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა უკვე დაწერა განცხადება და მოითხოვს გაგზავნილ იქნას ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად.

კომკავშირელი ხარატი ს. გაბარაშვილი თავის განცხადებაში წერს:

— გთხოვთ გამგზავნოთ ყამირზე. პირობას ვიძლევი, რომ ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდობის სახელდახელო მიტინგზე გადაწყდა შეიქმნას მოხალისეთა დამკვრელი რაზმები და ბრიგადები, რომლებიც მამაც მეყამირეებს დაეხმარებიან მოსავლის აღებაში.

კომკავშირის ლენინის რაიკომში პირველ დღესვე მოხალისეთა 100-ზე მეტი განცხადება შევიდა. სტალინის სახელობის ქარხნის ახალგაზრდებთან ერთად ყამირზე მოსავლის ასაღებად გამგზავრების მგზნებარე სურვილს გამოთქვამენ აგრეთვე 26 კომბინრის სახელობის ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის და სხვა საწარმოთა ახალგაზრდები. კომკავშირის რაიკომში გულდასმით განიხილავენ განცხადებებს, ვინაიდან ყამირზე გაგზავნილი იქნებიან მხოლოდ საუკეთესონი.

მხურვალე მხარდაჭერა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ბევრი მოწინავე ახალგაზრდაა, რომლებმაც შარშან თავი ისახელეს ყამირ მიწებზე პურეულის უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში. ამიტომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ — დახმარება გავუწიოთ სახელოვან მეყამირეებს წლევანდელი მოსავლის აღებაში — საწარმოს ახალგაზრდობის განსაკუთრებით მხურვალე გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა.

კომკავშირის საქარხნო კომიტეტში ყოველდღიურად მრავალი კომკავშირელის, ახალგაზრდა მუშისა და მოსამსახურის განცხადება შედის. ამ განცხადებებით მოითხოვენ გაგზავნონ ისინი ყამირი მიწების პურის ყანებში სამუშაოდ. მათს მისწრაფებას საუკეთესოდ გამოხატავს ქარხნის წარჩინებული ხარატის, კომკავშირელ გ. გელაშვილის სიტყვები:

— სიხარულით გავემგზავრები ჩვენი მამაცი მეყამირეების დასახმარებლად. იქ, ყაზახეთის ველებზე, თავდადებით ვიმუშავებ იმისათვის, რომ მეტი მარცვლეული შევიდეს ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს სახელმწიფო ბეღელში.

ახალგაზრდები ემზადებიან ყამირზე გასამგზავრებლად.

წალკის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა

წალკის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა. 10 ივნისისათვის ჩაბარებული იყო 7.214 ცენტნერით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის.

რაიონში გრძელდება სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარება.

მეცხვარეთა დღესასწაული

ქსნის ხეობაში ტრადიციად იქცა მწყემსების დღესასწაული. უხუცესებსაც კი ორ ახსოვთ ასეთი რამ. მხოლოდ ჩვენს დროში გახდა მწყემსობა საპატიო საქმე. ხალხს უყვარს მამაცი, გმირი მწყემსი. ლენინგორელთა სიმდიდრე ცხვარია. გასაგებია, რომ მის მომვლელთ შეუნელებელი ყურადღებითა და პატივისცემით ეკიდებიან.

კვირას, 16 ივნისს, დიდი ზეიმი იყო ლენინგორში. ძველთა მრავალჭირნახულ, დღეს კი ბედნიერ ქსნის ხეობაში დილადან-ვე იგრძნობოდა არაჩვეულებრივი საზეიმო განწყობილება. რაიონის ცენტრი მორთული იყო დროშებითა და ტრანსპარანტებით. „სალამი მამაც მეცხვარეებს!“, „ცხვარი ჩვენი სიმდიდრეა“, „კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება!“ — ასეთი წარწერები ამშვენებდა წითელ ტილოებს ოსურ და ქართულ ენებზე.

მწყემსის დღე... ასე დაერქვა ამ დღესასწაულს. ლენინგორელები მესამედ უწყობენ მწყემსებს ამ დიდ შეხვედრას. მწყემსებთან ერთად აქ მოელიან სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეულ სტუმრებს.

ლენინგორელმა მწყემსებმა თავი ისახელეს ზამთრის საძოვრებზე. თოვლსა და ავდარს, ქარსა და წვიმას მამაცურად უმკლავდებოდნენ, ფარა რომ შეენარჩუნებინათ და კოლმეურნეობათა ეს დიდი დოვლათი უვნებლად, ნამატით დაებრუნებინათ მშობლიურ რაიონში.

მათ წელს უკეთესად მოაწყეს შრომა, დღერგეს მოწინავე გამოცდილება და ზოოვეტერინარული ღონისძიებების გატარებით გაუმჯობესეს ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა, აამაღლეს პროდუქტიულობა, წარმატებებს მიაღწიეს ნამატის მიღება-შენარჩუნების საქმეში. ამ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს უკანამბრის, დადიანეთის, ბაგინის, ყველდაბის, ბალანის, ქოლოთის, წინაგრის, საძეგურის კოლმეურნეობათა მეცხვარეებმა. სოფელ ბაგინის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში 900 სულ დედაცხვარზე 834 ბატკანი მიიღეს, მათგან 802 სული შეინარჩუნეს. სოფელ ქოლოთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკებმა 100 დედაცხვარზე 96 ბატკანი მიიღეს.

ექვსი წელია ცხვარში მუშაობს თაჭრობანი არტემ ბენტური. იგი ოცდაერთი წლისაა. 15 წლის ვასო მარტიაშვილმა, კომკავშირელმა, ყოველ 100 სულ დედაცხვარზე მიიღო და გაზარდა 96 ბატკანი. მთელ ოლქში სახელი მოიხვეჭა ახალგაზრდა მეცხვარემ კომკავშირელმა ოთარ ახლოურმა. მან ორი წლის წინათ დაამთავრა საშუალო სკოლა და ამის შემდეგ მთას მიაშურა, მეცხვარეობა გაიხადა პროფესიად. ცხვრის მიღება-შენარჩუნებაში თავი ისახელეს მწყემსებმა — უკანამბრელებმა შიო თეზელაშვილმა, ამირან და ლექსო ბაშარულებმა, საკა ჩიტაშვილმა და შაშო შიუკაშვილმა, ლარგვისელებმა აბრამ ქენქაძემ, პაველ და ვასო შერმადინებმა, გოგი რუსიტაშვილმა და მრავალმა სხვა მეცხვარემ.

რაიონის კოლმეურნეობებში მესამე წელია, რაც დაინერგა ცხვრის ხელოვნური თესლვა. ამას კარგი შედეგი მოჰყვა — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა. ამ გზით მიღებული ცხვრის მატყლდ უკეთესი ხარისხისაა და მეტი რაოდენობითაც იღებენ. ხელოვნური თესლვით მიღებული ბატკნის ცოცხალი წონა 25-30 კილოგრამს შეადგენს ნაცვლად 15-20 კილოგრამისა.

წინა წლებთან შედარებით წელს ერთგვარად გადიდდა თვითეული ცხვრის ნაპარსი. ზოგან მატყლის პირველმა ნაპარსმა საშუალოდ 2,2 კილოგრამს მიაღწია. მწყემსები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული მატყლის წარმოების გადიდებისათვის. მათ წარმატებაში ხელს უწყობს ლენინგორის მტს-ი. მექანიზატორების თავდადებულმა შრომამ, ცხვრის მექანიზებულმა პარსვამ მნიშვნელოვნად გაადიდა მატყლის გამოსავლიანობა და შეამცირა მისი თვითღირებულება. ცხვრის მექანიზებული პარსვა ფართოდ ინერგება რაიონში.

16 ივნისია... დილადანვე მოედინებოდა რაიონის ცენტრისაკენ ხალხის ზღვა. სტადიონის მწვანედ ამბინებულ მოედანზე სახელდახელო ტრიბუნა აღუმართავთ. ტრიბუნაზე არიან სამხრეთ ოსეთის ოლქისა და ლენინგორის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, სახელმოხვეჭილი მეცხვარეები, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქებიდან მოწვეული სტუმრები. მწყემსის დღისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგს ხსნის პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანი ამხ. ი. უზნაძე. იგი გულთბადად მიუძღვნიდა მეცხვარეებს დღესასწაულს და თავის სიტყვაში ლაპარაკობს მეცხვარეობის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას რაიონის წინაშე მეცხვარეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. იგი ასახელებს მრავალ მეცხვარეს, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს თავდადებული, მამაცური შრომით.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან მოწინავე ადამიანები. სიტყვებით გამოდიან: ს. ჩიტაშვილი (უკანამბარის კოგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ი. ციგოევი (ჩიგოიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ი. გოკჰშვილი (სოფელ ქორქოხის კოლმეურნეობის მწყემსი), ვ. შერმადინი (ლარგვისის კოლმეურნეობის ფერმის გამგე), ვ. თვალაშვილი (სამხრეთ ოსეთის ავ-

ტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი) და სხვები. ისინი თავიანთ მგზნებარე სიტყვებში მხურვალე მადლობას უხდიან პარტიასა და მთავრობას მეცხვარის შრომის ასეთი დაფასებისათვის და პირობას დებენ მამაცური, თავდადებული შრომით კვლავაც ასახელონ სამშობლო, კიდევ უფრო მაღალ წარმატებებს მიაღწიონ მეცხვარეობაში.

მიტინგი ტრანსლირებული იყო რადიოთი და მას მთელი რაიონი ისმენდა. შემდეგ მოხდა წარჩინებულ მეცხვარეთა დასაჩუქრება. ფულადი პრემია და ძვირფასი საჩუქრები მიიღო მრავალმა ათეულმა მეცხვარემ. მიტინგის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი რაიონის ადგილობრივი ძალებით. მოედანზე მოეწყო ცეკვები, ჭიდაობა. შედგა ფეხბურთის მატჩი. დიდხანს, გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ზეიმი და მხიარულობა ლენინგორში.

გ. ბახტაძე,
ვ. თორდუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ჯგუფი ლენინგორის რაიონის მწყემსებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან ფულადი პრემიებით და საჩუქრებით (მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. ოდიშვილი, ო. ახლაური, ს. ჩიტაშვილი, ა. ბაშარული, ვ. მარტიაშვილი; **ქვემოთ** — ცეკვა „ქართული“. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 16 ივნისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	მაის-ივნისისა	რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები
ბათუმის	41,8	90,6	ს. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	38,8	83,7	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	31,5	68,5	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	39,5	85,4	
გალის	33,0	71,3	დ. გოგოხია, ხ. ტუფურია
ოჩამჩირის	36,0	78,6	ჩ. აბგაჯი, ტ. სოხელია
გულრიფშის	39,3	85,4	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	42,9	93,6	გ. ბაქია, პ. ცანავა
გუდაუთის	37,5	81,6	დ. ხვარცკია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	34,8	75,5	
მახარაძის	36,1	78,4	შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი
ჩოხატაურის	38,5	83,8	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	33,9	73,7	დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	29,6	64,3	ნ. ფანცულაია, მ. ახათიანი
წულუკიძის	20,8	44,2	ს. ლეჟავა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	22,9	49,8	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	30,9	67,2	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	28,4	63,9	კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
ცხაკაიას	22,6	48,1	ი. ურუშაძე, დ. ბალათურია
აბაშის	17,1	37,1	მ. ბოკერია, ა. ჯდარკავა
გეგეჭკორის	25,7	56,0	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	27,5	60,0	მ. ღვინჯილია, ვ. ეხართია
წალენჯიხის	33,0	73,7	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	29,4	63,8	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ნინოს	28,1	61,2	ა. წურწუმია, ხ. ნახარაია
თერჯოლის	44,1	95,1	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	24,7	52,9	შ. ხიდაშელი, გ. არეგაძე
ჭიათურის	32,5	72,2	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
ვანის	28,0	56,0	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სსრ-ში	33,3	72,5	

ქობულეთის რაიონის ცნობები არასრულია.

სოფელ ახალი ულიანოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ ლაგოდეხის რაიონში პირველმა დაიწყო ხორბლის გაყოფით (ორ ფაზად) აღება. ლაგოდეხის მტს-ის მექანიზატორებმა მკის პირველ დღეს აქ 15 ჰექტარზე აიღეს მოსავალი.

სურათზე (მარცხნიდან): 1. პურის მკა სამკალი მანქანით (ვინდროუერით); 2. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დუკმასოვი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელ ნ. ტრუბავინთან ერთად ამოწმებს მომკილი პურის სიმშრალეს; 3. კომბაინერი ნ. როსლავცოვი ლეწავს გათიბულ პურს.

ფოტო შ. გოკაძისა.

გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლა

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერიოდში ბოლშევიკური პრესა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ 1917 წლის 4 მარტს რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განაახლა გაზეთ „პრავდის“ გამოშვება. „პრავდის“ გამოსვლის შემდეგ რუსეთში ფართოდ გაიშალა საგამომცემლო მუშაობა.

რუსეთს არც კავკასია ჩამორჩა, ბაქოში გამოვიდა გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“, თბილისში კი რუსულ ენაზე—„კავკაზსკი რაბოჩი“.

1917 წლის 30 აპრილს რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტმა რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების მოთხოვნის საფუძველზე მოაწყო გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ მუშაკთა გაფართოებული კრება, რომელმაც იმსჯელა ქართული გაზეთის გამოშვების შესახებ.

კრებაზე მუშებმა განაცხადეს, რომ, მართალია, არსებობს ქართულ ენაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ერთობა“, მაგრამ პარტიის ცხოვრება ამ გაზეთში ცალმხრივად შუქდება. კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა ქართული ბოლშევიკური გაზეთის ფონდის შექმნა.

გაზეთის გამოშვების საორგანიზაციო კომისიაში შევიდნენ ა. ათაბეგოვი, გ. მარსაგოვი, რ. კალაძე, ა. ოქუაშვილი, ს. გოგიშვილი, გ. პარკაძე, ა. კახიანი, გ. ჩხეიძე, მ. ტოროშელიძე და სხვები. „კავკაზსკი რაბოჩიმ“ ყველას აცნობა, რომ უახლოეს ხანში გამოვა ქართული ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“. 1917 წლის 17 (4) ივნისს მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის რედაქტორობით კიდევაც იწყო გამოსვლა გაზეთმა „ბრძოლამ“, რომელიც 1917 წლის ოქტომბრამდე იყო რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ორგანო, შემდეგ კი რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ორგანო.

მოწინავე წერილში „ჩვენმა „ბრძოლამ“ რა უნდა აკეთოს“ — რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის და გაზეთის რედაქციის მიერ განსაზღვრული იყო გაზეთის ამოცანები. „ბრძოლა“ უხსნიდა მშრომელ მასებს, რომ ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობას არ შეუძლია ბოლო მოუღოს იმპერიალისტურ ომს, რომ მხოლოდ მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხობას შეუძლია რევოლუცია გამარჯვებამდე მიიყვანოს და მთელი მიწები ხალხის საკუთრებად გამოაცხადოს, დაამყაროს ხალხთა შორის მშვიდობა, შექმნას მუშურ-გლეხური მთავრობა.

გაზეთი „ბრძოლა“ საყვარელი გაზეთი გახდა. იგი გამოდიოდა მშრომელთა დანაზოგისა და შეწირულების ხარჯზე. „ბრძოლის“ ფონდში სისტემატურად გზავნიდნენ ფულს ჩოხატაურის, სამტრედიის, ჭიათურის, ერკეთის, ქუთაისისა და სხვა ბოლშევიკური ორგანიზაციები. გაზეთის ფონდის გაძლიერებისათვის თავიანთი წვლილი შეჰქონდათ კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებსაც.

„ბრძოლაში“ თანამშრომლობდნენ გ. ჩხეიძე, კ. კალაძე, ფ. მახარაძე, ა. ოქუაშვილი, მ. ცხაკაია, ს. კასიანი, ს. მამულია და სხვები. გაზეთს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰყავდა კორესპონდენტები, რომლებიც რედაქციას აწვდიდნენ წერილებს.

კორესპონდენციებში მოყვანილი ცნობები მეტყველებდნენ სოფლად ბოლშევიკური ორგანიზაციების გაძლიერებაზე. პოლიტიკისადმი მშრომელი გლეხობის ინტერესის ზრდაზე, იმაზე, თუ როგორ ირაზმებოდნენ ისინი რევოლუციის მხარეზე.

გაზეთის მუშათა წერილების განყოფილება მეტად მრავალფეროვანი იყო. თბილისის დეპოს მუშები გაზეთის საშუალებით იბრძოდნენ 8 საათის სამუშაო დღისათვის. წერილში „რვა თუ თორმეტი საათი“ დეპოს მუშა გ. ჩხეიძე წერდა შრომის აუტანელ პირობებზე და მოუწოდებდა მუშებს დარაზმულიყვნენ წარმოების მეპატრონეთა წინააღმდეგ. მუშები თავიანთ კორესპონდენციებში ააშკარავებდნენ ბურჟუაზიული მთავრობის გაიძვერობას და მენშევიკების ანტიხალხურ პოლიტიკას. პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებული წერილები გვაცნობდნენ ბოლშევიკების დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ქალაქსა და სოფლებში.

ამ პერიოდში საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების პარტიული ცხოვრება მიმდინარეობდა მენშევიკებთან შეურიგებელ ბრძოლაში, გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნისა და ზრდისათვის. გაზეთი „ბრძოლა“ დიდ მუშაობას ეწეოდა პარტიის აპრილის კონფერენციის რეზოლუციების პროპაგანდისა და ცხოვრებაში გატარებისათვის. მან დიდი ადგილი დაუთმო რსდმპ (ბ) VI ყრილობის რეზოლუციებს, რომელთა საფუძველზე მომზადდა და ჩატარდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობა 1917 წ. 27 ოქტომბერს.

გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ქართული თარგმანები ვ. ი. ლენინის წერილებისა „ღია წერილი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებისადმი“, „ლოზუნგებისათვის“, „რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი“, „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას“, „კრიზისი მომწიფდა“ და სხვ. ამ შრომებში ვ. ი. ლენინი ამხილებდა დროებითი მთავრობის ანტიხალხურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, ასაბუთებდა რევოლუციის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბოლშევიკების მოქმედების პროგრამას.

„ბრძოლამ“ იარსება 1918 წლის 8 თებერვლამდე. თებერვალში, როდესაც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა გადავიდა ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის რევოლუციური მასების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე, დაატიმრა ხელმძღვანელი ბოლშევიკები და დახურა ბოლშევიკური გაზეთები, კავკასიის სამხარეო კომიტეტი და თბილისის კომიტეტი იძულებული იყვნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ.

თ. ცხვედიანი,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე.

სასკოლო ცხოვრება

თელაველთა მოწოდების პასუხად

ზნაური. (საკ. კორ.). გაიმართა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და განათლების დარგის მუშაკები. თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს თელაველთა მოწოდება.

„საქთალკის“ წნელისის ქარხანამ იკისრა მოაწყოს მანქანათმცოდნეობის კაბინეტი ბალთის საშუალო სკოლაში და სასწავლო სახელოსნო წნელისის 7-წლიან სკოლაში. ზნაურის მტს-ის მექანიზატორები წელს ზნაურის საშუალო სკოლაში მოაწყობენ მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტებს. თიღველმა კოლმეურნეებმა სურვილი გამოთქვეს ააგონ ახალი სასკოლო შენობა სოფელ შინდარის დაწყებითი სკოლისათვის. სოფელ ავნევის კოლმეურნეობა თავისი სახსრებით საშუალო სკოლის ახალ შენობაში გააკეთებს ელექტროგაყვანილობას.

გადაწყდა, რომ რაიონის კოლმეურნეობები 15 აგვისტომდე მთლიანად მოამარაგებენ სკოლებს სათბობით, ორგანიზებულად ჩატარდება სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერა და მათი სწავლაში ჩაბმა.

კოლმეურნეობები, საწარმოები უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

გაძლიერდა სკოლებისათვის ზრუნვა

ცხაკაია. (საკ. კორ.). ამ ოცტა ხნის წინათ შეიკრიბნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები, რომლებმაც თელაველთა მაგალითისამებრ მთელი რიგი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ცხაკაიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მე-2 დაწყებითს სკოლას გადასცემს 5-ოთახიან შენობას საეზოვე ნაკვეთით; უშაფათის ჩაის ფაბრიკა 20 აგვისტომდე ადგილობრივ კოლმეურნეობასთან ერთად საშუალო სკოლას აუშენებს 6-ოთახიან შენობას, ორგანყოფილებიან სასწავლო სახელოსნოს; ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა საშუალო სკოლის შენობას მიაშენებს ექვს საკლასო ოთახს. სკოლებს დაეხმარებიან აგრეთვე სოფელ ფოცხოს სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, ხალიჩების ფაბრიკა, ტეხურის საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

20 აგვისტომდე სკოლები უზრუნველყოფილი იქნებიან სათბობით. ბავშვებისათვის მოეწყობა პიონერთა ბანაკები წაღვერში, სასკოლო ასაკის 100 ბავშვი გაიგზავნება რესპუბლიკის აგარაკებზე.

რეპორტაჟი

გზა ამჯერადაც ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა!

სკოლის დარაჯს, ბუნებით მკაცრ და პირქუშ ძია მიხოს სახეზე უჩვეულო ღიმილი დასთამაშებდა, 53-ე სკოლის საპარადო შესასვლელი ფართოდ გაეღო და მოკრძალებით იპატიჟებდა გამოცდის ჩასაბარებლად მოსულ მოსწავლეებს. მეთერთმეტეკლასელები ნახევარი საათით ადრე მოსულიყვნენ სკოლაში, მერხებს ირჩევდნენ, კალმებს სინჯავდნენ და თან გულში იმეორებდნენ გავლილ მასალას. ყველას ერთი ფიქრი აწუხებდა — რა თემა მოვიდოდა ქართულში, შეძლებდენ თუ არა კარგად დაწერას.

საერთო სიჩუმე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დანიელ რამიშვილის წამახალისებელმა ხმამ დაარღვია:

—რამ დაგაღონათ, ისე დადუმებულხართ, თითქოს მეხის გავარდნას ელით. საშიში არაფერია, ყველა თემა თქვენთვის ნაცნობი იქნება.

საყვარელი პედაგოგის გამოჩენამ, მისმა გაბრწყინებულმა, რწმენით სავსე სახემ დაამშვიდა ახალგაზრდები. გახალისებულნი ახლა ერთად ალაპარაკდნენ, შეკითხვები სეტყვასავით დააყარეს პედაგოგს და ისიც გულმოდგინედ, რიგრიგობით უპასუხებდა მათ.

კითხვა-პასუხი სკოლის დირექტორის ანდრო მჭედლიძისა და საგამოცდო კომისიის წევრების გამოჩენამ შეწყვიტა. მოსწავლეებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს, ჩქამსაც ვერ გაიგონებდით, ზოგს წამით სუნთქვაც კი შეუჩერდა, ყველანი ჯერ კიდევ გაუხსნელ პაკეტს შეაცქერდნენ, თითქოს მახვილი მზერით თემის წინასწარ გამოცნობას ცდილობენო.

პაკეტი გაიხსნა. მოსწავლეები ახლა დაფას დაეშტერდნენ. ნელნელა იწერებოდა საგამოცდო თემების სათაურები...

— „პატრიოტული მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“.

მოსწავლეების სახეზე სიხარულმა გაიელვა.

— „საკოლმეურნეო სოფლის ასახვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“.

— „მშვიდობა გაიმარჯვებს“.

უკანასკნელი თემის სათაურმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ჭაბუკთა გულმა სიხარული ვეღარ დაიტია, და უნებლიეთ აღმოხდათ — „შენი ჭირიმე, ბიჭო!“

პირველმა ღელვამ მშვიდობიანად ჩაირა, ყველა თემა მოსწავლეთათვის ნაცნობი და კლასში რამდენჯერმე დამუშავებული იყო.

ახალგაზრდები გულმოდგინედ შეუდგნენ წერით სამუშაოს. ზოგმა ვაჟას პატრიოტიზმი აირჩია, ზოგმა საკოლმეურნეო სოფლის ასახვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, უმეტესობამ კი გადაწყვიტა მშვიდობაზე დაეწერა თემა, და ეს არც გასაკვირველია, რადგან წერდნენ იმას, რაც სწამთ, რაც ასე ძლიერ სურთ ახალგაზრდებს, და ამ პატარა ნამუშევრებში ისინი პროგრესული კაცობრიობის სურვილებსა და მიზნებს გამოთქვამდნენ.

მეთერთმეტეკლასელმა რაულ ჩაგუნავამ საკუთარი ლექსი წაუმძღვარა თემას:

„ხალხთა გულისთქმა აზვირთებულა
და მზნედ გაისმის ყოველი მხრიდან:
არ გვინდა ომი, არ გვსურს
სისხლისღვრა,
სიცოცხლე გვინდა, მშვიდობა
გვინდა“.

კიაზო მათიაშვილი კი თავის თემას „მშვიდობა გაიმარჯვებს“ ასე იწყებს:

„მშვიდობა! — მსოფლიოს ყველა კუთხეში გაისმის ეს სიტყვა. მშვიდობა! — ამბობს ფრანგი და ამ ცნებაში თავის ნათელ მომავალს ხედავს.

მშვიდობა! — ამბობს კაპიტალიზმის უღლისაგან დამონებული ზანგი და წელში ლარივით სწორდება.

მშვიდობა! — ეს ჩვენი სწავლა და შრომაა, ეს სიცოცხლის გამარჯვებაა სიკვდილზე“.

აი როგორ ესმის საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობას მშვიდობის საქმე.

თბილისის 53-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები მომზადებული შეხვდნენ გამოცდებს. 130 ახალგაზრდა იბრძვის სიმწიფის ატესტატის მიღებისათვის. ზოგი ატესტატით პირდაპირ ქარხანაში აპირებს წასვლას, რათა უფრო ახლო შეისწავლოს ცხოვრება, მიიღოს მეტი გამოცდილება და შემდეგ კვლავ განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში იმ განხრით, რომელიც მას აინტერესებს. ამ სკოლაში ბევრი მოსწავლე იბრძვის ოქროს-მედალოსნის საპატიო სახელის მოპოვებისათვის. პირველი შედეგებით განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსწავლეები: ვ. კოპალეიშვილი, ი. ვამყაძე, რ. ჩაგუნავა, რ. ბურძგლა, ქ. რამიშვილი, რ. გაჩეჩილაძე, კ. მათიაშვილი, ს. ფალავანდიშვილი, გ. არომიძე, კ. ეგნატაშვილი და სხვ. ეს ახალგაზრდები პირველი კლასიდან ხუთებზე სწავლობდნენ და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ასევე წარმატებით დაამთავრონ თერთმეტი კლასიც.

გამოცდები დასასრულს უახლოდება. მოსწავლეებმა წარმატებით ჩაბარეს ქართული, რუსული, უცხო ენა, ალგებრა, გეომეტრია, ქიმია. მალე მარტო ამ სკოლიდან 130 ახალგაზრდა შედგამს ფეხს ცხოვრების ახალ საფეხურზე. ზოგი უმაღლეს სასწავლებელში წავა, ზოგი ქარხანაში, და ასე პატრიოტი ახალგაზრდები კომუნიზმის აქტიური მშენებლები გახდებიან.

ზ. ჩილაჩავა.

გიორგი დიმიტროვი

დღეს სრულდება 75 წელი ბულგარელი ხალხის დიდი შვილის, ბულგარეთის და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გიორგი დიმიტროვის დაბადებიდან.

გიორგი დიმიტროვის სახელი განუყრელად დაკავშირებულია ბულგარეთის მუშათა კლასის და მისი ავანგარდის — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან და გამარჯვებებთან. დიმიტროვის ნათელი ცხოვრება მთლიანად შეეწირა კაპიტალიზმის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლას.

გიორგი დიმიტროვს უდიდესი დამსახურება აქვს ბულგარეთის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის საქმეში. თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ჯერ კიდევ პირველ ათეულ წელიწადში, ბულგარეთში სოციალისტური მოძრაობის გარიჟრაჟზე, მან თავი გამოიჩინა როგორც მუშათა კლასის ნიჭიერმა ხელმძღვანელმა. შემდეგში ვასილ კოლაროვთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა 1923 წლის სახელოვან სახალხო ანტიფაშისტურ აჯანყებას.

ლენინის იდეები მისთვის იყო, „ბედნიერი ზეშთაგონება“, პროგენერატორი, რომელმაც გზა გაუნათა ბალკანეთის ქვეყნების პროლეტარიატსაც, დაეხმარა მას მიეღწია გამარჯვებისათვის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. „ახლა, — წერდა დიმიტროვი 1923 წელს, — ...ლენინის იდეები მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ვრცელდება. ეს იდეები გზის მანათობელი ვარსკვლავია ყველგან გაბატონებული და თავაშვებული ბურჟუაზიის ბნელ ღამეში და გამარჯვების მოახლოებას გვიწინასწარმეტყველებს...“

გიორგი დიმიტროვის ხელმძღვანელობით ბულგარეთის კომუნისტური პარტია შეიარაღდა ლენინიზმის ძლევამოსილი იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ტაქტიკური იარაღით, დაძლია თავისი სოციალ-დემოკრატიული სუსტი მხარეები, გაწმინდა თავისი რიგები პარტიაში შეპარული მტრული ელემენტებისაგან და გახდა მონოლითური პროლეტარული ავანგარდი, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობდა მშრომელთა ბრძოლას მათი საარსებო ინტერესების დაცვისათვის, ბულგარეთში ფაშისტური დიქტატურის დამხობისათვის.

გიორგი დიმიტროვი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის თანმიმდევარი მებრძოლი იყო. ჯერ კიდევ 1923 წელს იგი აღნიშნავდა, რომ აუცილებლად საჭიროა მუშებისა და მშრომელი გლეხების ერთიანი ფრონტი, რომელმაც თავისი საბრძოლო ნათლობა მიიღო სექტემბრის აჯანყების დროს. მან ქალაქის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მასების ერთიანი ფრონტის შექმნა შეაფასა როგორც ბულგარეთის მშრომელთა ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა. „ქალაქებისა და სოფლების მშრომელი ხალხი, — წერდა დიმიტროვი 1923 წელს აჯანყების განადგურების შემდეგ, — ...რადაც უნდა დაუჯდეს, თვალისჩინივით გაუფრთხილდება თავის ერთიან ფრონტს, ვინაიდან სავსებით ნათლად ესმის, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია განთავისუფლდეს ხალხის ჯალათებისა და მკვლელების ბარბაროსული რეჟიმისაგან და გახდეს თავისი შრომის, თავისი ცხოვრებისა და თავისი მომავლის ბატონ-პატრონი“.

მუშათა და გლეხთა კავშირის შექმნა და განმტკიცება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მუდმივი ამოცანა გახდა. ამ კავშირმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ფაშისტური მონობისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების შემდეგაც გიორგი დიმიტროვი შეურიგებლად იბრძოდა მუშათა და გლეხთა ერთიანობის მტრების წინააღმდეგ, უსმობლად ამხილებდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მშრომელი ხალხის მოღალატეებს.

გიორგი დიმიტროვი იყო ბულგარელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ნაცადი მებრძოლი, იგი გადაჭრით ამხილებდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ყოველგვარ ხელყოფას იმპერიალისტების მიერ. მისი ხელმძღვანელობით ბულგარეთის მშრომელებმა შექმნეს თავიანთი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც განამტკიცა მათი რევოლუციური მონაპოვარნი და უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი აყვავება. დიმიტროვმა ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები, რომლებზეც შენდება სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო. იგი, ამბობდა დიმიტროვი, წარმოადგენს მშრომელების — ხალხის უდიდესი უმრავლესობის ხელისუფლებას მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლით, არის იარაღი მშრომელთა ხელში ექსპლოატატორული ელემენტების წინააღმდეგ, ძველი, კაპიტალისტური წყობილების აღდგენის ყველა ცდის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი ისტორიული მოწოდებაა უზრუნველყოს ქვეყნის განვითარება სოციალიზმის გზით.

დიმიტროვი იყო ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მგზნებარე დამცველი. საბჭოთა კავშირი მას მიაჩნდა ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ სიმაგრედ და დასაყრდენად ნშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი ბულგარეთის მშრომელებს უნერგავდა სიყვარულსა და მადლობის გრძნობას დიდი საბჭოთა კავშირისადმი, რომელმაც გაგვათავისუფლა ჰიტლერული მონობისაგან და მუდამ გვიწევს უანგარო და ყოველმხრივ ძმურ დახმარებას სოციალიზმის მშენებლობაში.

გიორგი დიმიტროვი ამბობდა, რომ მუშათა მოძრაობის თვითეული მოღვაწის, მშრომელთა თვითეული ორგანიზაციის გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების შემოწმებისათვის სასინჯი ქვაა მისი დამოკიდებულება სოციალიზმის დიდი ქვეყნისადმი.

„ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, — წერდა იგი 1937 წელს, — იმის გასარკვევად, თუ ვინ არის მუშათა კლასისა და სოციალიზმის საქმის მეგობარი და ვინ მტერი, ვინ არის დემოკრატიისა და მშვიდობის მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, არ არის და არც შეიძლება იყოს იმაზე უფრო უტყუარი კრიტერიუმი, ვიდრე დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი“.

გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა მთელი ძალებით განვამტკიცოთ ერღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან როგორც ჩვენი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია. მან ბულგარეთის მშრომელებს უანდერძა მუდამ განამტკიცონ ძმური სოლიდარობა სხვა ქვეყნების მშრომელებთან, იყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბოლომდე ერთგულნი, მუდამ სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის დიდი კომუნისტური პარტიის დაუშრეტელ გამოცდილებას.

ამ ანდერძის ნიშნით ჩვენი ხალხი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით განუწყვეტლივ ავითარებს თავის ძმურ კავშირს საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხალხებთან.

გიორგი დიმიტროვი იყო საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. თავისი სიცოცხლის ბოლომდე იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლაში თავისი უფლებების დაცვისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის. დიმიტროვის გმირობა ფაშისტ ჯალათთა სასტიკი კლასობრივი სასამართლოს წინაშე ლაიპციგში 1933 წელს სამუდამოდ დარჩება როგორც პროლეტარული მამაცობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე მაგალითი. დიმიტროვმა გაბედულად და დაუზოგავად ამხილა ფაშისტ შეთქმულთა დანაშაულებრივი მიზნები, ბრალდებულის სკამი აქცია ტრიბუნად, რომლიდანაც მსოფლიოს პროლეტარიატს მოუწოდებდა თავდადებული ბრძოლისაკენ ჰიტლერული ავაზაკების წინააღმდეგ.

ისტორიულ მოხსენებაში კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესისადმი (1935 წელი) გიორგი დიმიტროვმა დასაბუთა ფაშიზმის შემოტევის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის აუცილებლობა. იგი მოუწოდებდა კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული ერთიანი ფრონტისა და სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნისაკენ, ფაშიზმის წინაალმდეგ საერთაშორისო პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის ღონისძიებათა გაერთიანებისაკენ. იყო რა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გენერალური მდივანი, გიორგი დიმიტროვმა გააჩაღა უდიდესი მუშაობა, რომლის ძიზანი იყო ფაშიზმის აგრესიული გეგმების მხილება. ხოლო როდესაც ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს, დიმიტროვმა მსოფლიოს პროლეტარიატს მოუწოდა დარაზმულიყო საბჭოთა კავშირის გარშემო და მასთან ერთად ებრძოლა ფაშისტ აგრესორთა განადგურებისათვის.

თავისი კეთილშობილური ცხოვრების უკანასკნელი წლები დიმიტროვმა გაატარა ბულგარელ ხალხში და მთელი თავისი ძალები მოახმარა მის ბრძოლას ქვეყნის სოციალისტური განახლებისათვის. მუდამ ჩაფლული უარრესად პასუხსაგებ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში, იგი დაიფერფლა თავის საბრძოლო პოსტზე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობაზე, რომელიც 1948 წლის ბოლოს შედგა, გიორგი დიმიტროვმა დაგვისახა ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი სოციალისტური განვითარების, მისი სიმდიდრის გამრავლების, მისი ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, მისი ეკონომიური დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის გამლილი პროგრამა.

ემყარება რა საბჭოთა კავშირის მეგობრულ მხარდაჭერას, მუდამ სწავლობს რა საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის გამოცდილებას, ბულგარეთის მშრომელი ხალხი ენთუზიაზმით აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

ბულგარელ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ გიორგი დიმიტროვის სახელი და ანდერძი მოუწოდებენ მას თავის საბჭოთა ძმებთან, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან, მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობასთან ერთად იბრძოლოს პროგრესისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის.

ილია კიულიოვსკი.
გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.
ქ. სოფია.

ᲓᲘᲛᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲗᲐᲜ

სამოც ჰექტარზეა გადაჭიმული მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის უხვმოსავლიანი ვენახები. ვაზი აქაურ კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ არის, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უხსოვარი დროიდან შეიყვარეს ვაზი და თვალისჩინივით უფრთხილდებიან მას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვის პასუხად კოლმეურნეობამ გადიდებული ვალდებულებები იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობისა და მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

კალინინელთა ვალდებულებაა 41 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად 70 ცენტნერისა მოიყვანონ 90 ცენტნერი ყურძენი; მიმდინარე წელს გააშენონ 6 ჰექტარი ახალი ვენახი, დაამყნონ 75.000 ძირი ვაზი. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მეცხოველეობის განვითარების დარგშიც. კოლმეურნეებმა პირობა დადეს მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 300 სულის ნაცვლად გაზარდონ 346-მდე.

აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა. ახალი ძალით აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის. საქმით ვუპასუხოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებას — 1957 წელი გავხადოთ გარდატეხის წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს შევხვდეთ ახალი წარმატებებით! — ასეთი მისწრაფებით მუშობს ამჟამად ყველა შრომისმოყვარე კოლმეურნე.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ჯ. გეგეშიძე) ჯერ კიდევ 15 თებერვალს განიხილა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. კრებაზე, რომელიც წინასწარ სერიოზულად იყო მომზადებული, გამომეყლავნდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. აღინიშნა, რომ მუშა-პირუტყვი ჯერ კიდევ არ არის გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილი, კოლმეურნეობის სამჭედლო მომარაგებული არ არის საჭირო ინვენტარით.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად უწინარეს ყოვლისა გაჩაღდა ბრძოლა საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. კოლმეურნეობის 40 კომუნისტი განაწილებულ იქნა მუშაობის გადამწყვეტ უბნებზე — ბრიგადებში, რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში. ახლა მეტი ყურადღება ექცევა საგიტაციო-მასობრივ მუშაობას. აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრეები კონკრეტულად მიუთითებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რაზმავენ კოლმეურნეებს ახალი წარმატებებისათვის. გამოვიდა კედლის გაზეთის „კოლმეურნის ხმის“ სპეციალური ნომერი. პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის ორგანიზაციის საკითხებს. აგიტატორები თავიანთ საუბრებში აკრიტიკებენ სამუშაოს გამცდენებს, ზარმაცკოლმეურნეებს, სახელდობრ, — გ. ებანოიძეს, მ. კოხოძეს, ე. ნერგაძეს, რომლებიც საკოლმეურნეო შრომას გაურბიან და ერთი შრომადღეც არ ჰქონდათ გამომუშავებული. სისტემატურად მოწმდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. კოლმეურნეთა მუშაობის მაჩვენებლების ფართოდ გაცნობის მიზნით აგიტატორები ი. ჩიქვინიძე, ი. მინაძე და სხვები უშვებენ საველე გაზეთებს. გაზეთები ოპერატიულად ასახავენ საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობას, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს. ყველა ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად კოლმეურნეობამ აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრა ვენახის გასხვლა, ნიადაგის დამუშავება. გადაჭარბებით შეასრულა ვაზის მყნობის მიმდინარე წლის დავალება.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე მ. ცერცვაძე) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ზრუნავს იმისათვის, რომ მეტი პროდუქცია მიიღოს შრომისა და სახსრების უმცირესი ხარჯვით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეებმა, ბრიგადირებმა. ამ მხრივ საყურადღებოა გამოცდილება მეევნახეობის პირველი ბრიგადისა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კომუნისტი გ. ფულარიანი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მოაწყო ვაზის სხვლა ახალი წესით — ძლიერი დატვირთვით, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. დიდად გაიზარდა ვაზის მსხმოიარობა. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები არიან ბრიგადის წევრები სოციალისტური შრომის გმირი ა. გრძელიძე, კ. და ნ. ფულარიანები.

მუხრანის სარწყავი სისტემა, რომელიც იყენებს ორი მდინარის — არაგვისა და ქსნის წყლებს, რწყავს მცხეთის რაიონის 12 ათას ჰექტარ საკოლმეურნეო მინდვრებს.

თვითდენად არხებს გარდა, მუხრანის სარწყავ სისტემას აქვს სატუმბავი სადგურები, რომლებიც ტუმბავენ წყალს 140 მეტრზე. მაგისტრალურ არხზე სოფელ მისაქციელში შენდება 2 ათასი კილოვატსაათის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. ამ სისტემის მაგისტრალური არხების საერთო სიგრძე 75 კილომეტრს აღწევს. სურათზე: მუხრანის სარწყავი სისტემის მთავარი ნაგებობა მდინარე არაგვზე.

ფოტო ი. ბახალბაშიანისა.
(საქფესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲜᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრიდან 40 კილომეტრით დაშორებულია მთის სოფელი კურზუ. აქედან იწყება გზა ცნობილ კურორტ ლებარდესაკენ. მიმდინარე წლის დასაწყისში ადგილობრივმა მასწავლებელმა ა. ახალაიამ, როცა იგი მიწას ამუშავებდა საკენაზედ, იპოვნა ადამიანის ნამარხი. მასში იყო ბრინჯაოსაგან ნაკეთები სხვადასხვა ნივთები, სამეურნეო იარაღი. პირველადი შესწავლა ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ნივთები დამზადებულია ადგილზე. საგულისხმო ფაქტად უნდა ჩაითვალოს კურზუში ძველი მეტალურგიული კერის არსებობა. აქ მას ეძახიან ჩერნოს. მიმდინარეობს ნაპოვნის უფრო ღრმად შესწავლა.

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ ლაფანყურიდან ორი კილომეტრის დაშორებით — „მაჩხაურში“ ნაფარეულის მტს-ის ტრაქტორისტმა თ. ქისტაურმა, როცა იგი ნაკვეთის გაწმენდას აწარმოებდა, ერთი დიდი ხის ამოძირკვისას აღმოაჩინა ქვევრ-სამარხი. მასში აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, თიხის ქილა, ბრინჯაოს საყურეები ყურძნის მტევნის გამოხატულებით, სამაჯურები, სერდოლიკის მძივები, თიხის ორი ცალი კვირისტავი და სხვ.

ქვევრ-სამარხი და მასში მოთავსებული ნივთები გადაეცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. მუზეუმის მუშაკთა აზრით, ქვევრ-სამარხი და აღნიშნული ნივთები მიეკუთვნება დაახლოებით პირველ საუკუნეს. ქვევრ-სამარხის პოვნა კახეთში პირველი შემთხვევაა.

ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. (საკ. კორ.). გაიხსნა საზაფხულო სეზონი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სურამის ბავშვთა სანატორიუმში, სადაც ამჟამად ისვენებს 75 ნორჩი მოაგარაკე.

სანატორიუმი მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კარგი მოვლა-პატრონობით, კვებითა და გართობით.

ᲛᲐᲯᲙᲘᲪᲔᲚ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲬᲕᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დღითიდღე ლამაზდება და მშვენიერდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. საქალაქო საბჭოს აღმასკომი მთელ რიგ ღონისძიებებს სახავს ქალაქის კეთილმოწყობისათვის, რომელთა განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის მშრომელები. ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის თანამონაბას თბილისში სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის დაცვის შესახებ, იბრძვიან იმისათვის, რომ ქუჩებში, ეზოებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგი და სისუფთავე იყოს. ამ ერთსულოვანი მუშაობის შედეგები უკვე იგრძნობა, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

კალინინის რაიონში არსენას ქუჩის № 29 სახლი გამოირჩევა წესრიგისა და სისუფთავის მხრივ. მაგრამ 13 ივნისს კიდევ უფრო ლამაზად გამოიყურებოდა იგი. პლაკატები, ფოტოსტენდები, ალისფერი დროშები საზეიმო ელფერს აძლევდნენ მას. ეზოში უკრავდა საესტრადო ორკესტრი. აქ შეკრიბნენ არსენას ქუჩის მცხოვრებლები, რათა დაესახათ ღონისძიებები ქალაქში წესრიგისა და სისუფთავის დაცვის გასაუმჯობესებლად.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატი მ. ვეფხვაძე, რომელმაც ილაპარაკა რიგასა და თბილისს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე. მან დამსწრეებს მოუთხრო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც თბილისის საქალაქო საბჭო და კალინინის რაიონული საბჭო ახორციელებენ რაიონის კეთილმოწყობისათვის.

— ბრძოლა წესრიგისა და სისუფთავის დასაცავად, — თქვა ამხ. ვეფხვაძემ, — თვითეული ჩვენგანის პასუხსაგები მოვალეობაა. მხოლოდ ერთობლივი, ხელიხელჩაკიდებული მუშაობის შედეგად მივაღწევთ მიზანს — გადავაქცევთ თბილისს სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქად.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დაშნელმა, რომელიც რიგაში მყოფი თბილისის მშრომელთა დელეგაციის წევრი იყო, კრების მონაწილეებს გაუზიარა რიგაში მიღებული შთაბეჭდილებები და მოუთხრო, თუ როგორ ახორციელებს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი წესრიგისა და სისუფთავის დასაცავად ნაკისრ ვალდებულებებს.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ არსენას ქუჩის № 29 სახლის მცხოვრები, უბნის კეთილმოწყობის დაბლმარე კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. სულხანიშვილი, კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების უბნის რწმუნებული ამხ. ზ. ბუნუკური, უბნის აგიტატორი ამხ. ა. ქამუშაძე, სახლთმმართველი ამხ. ტ. რაზგოიანი.

არსენას ქუჩის მცხოვრებლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. მელაძის სიტყვა.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც მიმართულია ქალაქში წესრიგისა და სისუფთავის გაუმჯობესებისაკენ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲜᲐᲗᲣᲠᲐ ᲐᲘᲜᲗᲝ

გასულ წელს დაიწყო წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ელექტროფიკაციის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, რასაც აწარმოებდა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქელექტრომშენმონტაჟის“ რესპუბლიკური კანტორა.

სოფელში აიგო მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი და სამი სატრანსფორმატორო კიოსკი, გაყვანილ იქნა ელექტროდენი მეცხოველეობის ფერმებში.

მიმდინარე წლის მაისში საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნდა კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლები. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ზოგიერთი შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მექანიზაცია, რამაც დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეებს.

მომავალში გათვალისწინებულია სოფლის მთლიანი ელექტროფიკაცია.

ე. ფხაკაძე,
სოფელ ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲛᲬᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲘ

ნაყოფიერად მუშაობს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის ბიბლიოთეკა (გამგე მ. ზვიადაძე). აქ ყოველდღიურად მრავალი მკითხველი იყრის თავს. ბიბლიოთეკას აქვს 8.000-მდე წიგნი — მხატვრული, პოლიტიკური და ტექნიკური ლიტერატურა. წელს ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს 48 სახელწოდების სხვადასხვა ჟურნალი და 21 სახელწოდების გაზეთი.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად აწყობენ ლექციათ-მოხსენებებს, თემატურ გამოფენებს, ადგენენ ახალი წიგნების სარეკომენდაციო სიებს.

ამჟამად ბიბლიოთეკას ხუთასზე მეტი მუდმივი მკითხველი ჰყავს. აქტიური მკითხველია მესამე საექსპლოატაციო უბნის ცვლის უფროსი გ. ბაღდავაძე. მან უკანასკნელ ხანში წაიკითხა 20-მდე სხვადასხვა წიგნი, მათ შორის მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, ჭ. ლომთათიძის „რჩეული ნაწერები“ და სხვ ბიბლიოთეკის ლიტერატურით ხშირად სარგებლობენ ვენტილაციის ცვლის უფროსი რ. კიკოლეიშვილი, პირველი უბნის მტვირთავი ს. მაისურაძე, მეოთხე უბნის მემოტორე ვ. უტკინა, მეხუთე უბნის მნგრეველი ვ. კუსოვი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკას არა აქვს სალექციო ოთახი, ხოლო ამ მიზნით გამოყენებული სამკითხველო დარბაზი ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას. ამის გამო მსმენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ლექციამოხსენებებს ვერ ესწრება.

ნ. ჯინჯიხაძე,
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის № 2 ინტერნატის პოლიტხელი.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘ“

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა ა. მარტიროსოვისა და გ. იმნაიშვილის მონოგრაფია ქართული ენის კახური დიალექტის (კილოს) შესახებ. კახური დიალექტი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ ქართულთან ერთად იგი სალიტერატურო ენის საყრდენი დიალექტია და მისი ერთ-ერთი თავადური მასაზრდოებელი წყაროა. ქართულ-კახურის ამგვარი შესწავლა ნაკარნახევი უპირველეს ყოვლისა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, მისი განვითარების პერსპექტივებისა და მთლიანობისათვის ზრუნვის მეცნიერული ინტერესებით.

ცნობილია, რომ ყველა დიალექტი, ისევე როგორც უმწერლობო ენა, თავისუფალია ლიტერატურული ენისათვის აუცილებელი ნორმატულობით შეზღუდვისაგან, იგი დაუბრკოლებლად ვითარდება, რამდენადაც ცალკეული ფორმის წარმოქმნასა და ხმარებაგავრცელებას წინ არაფერი არ ეღობება. ამის გამო დიალექტებში ვხვდებით მთელ რიგ ახალ ფორმებს, რომელთა დადგენა და შესწავლა საინტერესოა ენის განვითარების ზოგადი კანონების გაგებისათვის.

ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა ქართული დიალექტების ენობრივ თავისებურებათა შესწავლას, ტექსტების დაბეჭდვას და ლექსიკონების შედგენა-გამოცემას. მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად მოპოვებულია ენათმეცნიერულად საინდო და საინტერესო შინაარსის მრავალფეროვანი ტექსტები, რომლებიც დამუშავების და გამოქვეყნების ელის. კახური დიალექტის საინტერესო მონოგრაფიის ტექსტები შედგება ხანგრძლივი ექსპედიცია-მივლინებებისა, რომლებშიც წიგნის ავტორებიც მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, წიგნში მოხერხდა მხოლოდ ტექსტების ნაწილის დაბეჭდვა.

მონოგრაფიაში მოცემულია ვრცელი გამოკვლევა ქართული დიალექტების შესწავლის ისტორიის, მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ, დადგენილია კახური კილოს ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი, დაწერილებით აღწერილია სახელისა და ზმნის მთავარი მორფოლოგიური კატეგორიების წარმოებისა და ლექსიკოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი.

ავტორები ყურადღებას აქცევენ კახეთის მოსახლეობის შედგენილობას და სათანადოდ ითვალისწინებენ მას ენობრივ თავისებურებათა ახსნისას; თავის ადგილზე იყენებენ კახური წარმოშობის ისტორიული საბუთების გრამატიკულ თავისებურებებს დიალექტურ მოვლენათა წარმოშობისა და ისტორიის დადგენის მიზნით, სწორად მიუთითებენ კახეთის რაიონებიდან გამოსული ქართველი მწერლების ნაწერებში დიალექტიზმებზე და აჩვენებენ, თუ რა ადგილი უჭირავს ამ დიალექტიზმებს დღევანდელ ცოცხალ მეტყველებაში.

მონოგრაფიაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კახური დიალექტის ქართულთან დადი მსგავსებისა და ერთიანობის საკითხებს. ეს საერთო მოვლენები ფონეტიკაში, გრამატიკაში და ლექსიკაში მრავალფეროვანი ფაქტების დამოწმებით არის ნაჩვენები. ასევე მითითებულია მთელი რიგი საერთო გრამატიკული მოვლენები კახურსა და ინგილოურს შორის.

წიგნის ავტორები კარგად ითვალისწინებენ, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვაგვარად შეიძლება წარმოგვიდგეს ერთისა და იმავე პირის მეტყველებაშიც; არც ის არის გამორჩენილი, რომ ერთი დიალექტის ფარგლებში განსხვავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველი პირის ასაკს, სქესს, განათლების დონესა და ბიოგრაფიას, ზეპირსიტყვიერი მასალის ჟანრს.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში დაბეჭდილი ტექსტები საგულისხმოა არა მარტო ენათმეცნიერული თვალსაზრისით, სპეციალისტი დიალექტოლოგისათვის, არამედ ფოლკლორული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ინტერესითაც. მართალია. კახური კილოს ცალკეული მასალები ადრეც იბეჭდებოდა, მაგრამ ამ სახით ეს მონოგრაფია პირველია. იგი საერთოდ მეტად საინტერესოა, შედგენილია კეთილსინდისიერად, პუნქტუალურად და მისი გამოსვლა უდავოდ მისასალმებელია. ეს წიგნი დიეხმარება სტუდენტებს, პედაგოგებს და კულტურის მუშაკებს.

შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მეტი და უკეთესი გვექნება ანალოგიური მონოგრაფიები ცალკეული ქართული დიალექტების შესახებ, მით უფრო ბევრი საერთო დადგინდება ქართულ დიალექტებს შორის, მით უფრო მდიდარი იქნება ჩვენი ცოდნა ქართული ენის ისტორიისა, მისი შედგენილობისა და განვითარების კანონზომიერებათა სპეციფიკის შესახებ. დასასრულ, ამგვარი მონოგრაფიული სამუშაოები აუცილებელი და ყველაზე სანდო წინაპირობაა უნაკლო დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად, რომლისადმი ფრიად დიდ ინტერესს იჩენენ ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა ფართო წრეები (ასეთი ატლასი ამჟამად გამოდის მოსკოვში რუსული დიალექტებისათვის).

წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლიც. რამდენიმე დებულება ორ-სამჯერ არის გამეორებული და ერთნაირი ფაქტები სხვადასხვა ადგილას არის განანილებული (გვ. 16, 19, 24, 26, 43, 51, 72); ტექსტები დალაგებულია შიდაკახური, გარეკახურის და ქიზიყურის მიხედვით, მაგრამ არა ჩანს — ეს დაჯგუფება უბრალოდ ტრადიციულ დაყოფას მისდევს, თუ რაიმე ენობრივი ნიშნები უძევს საფუძვლად; ტექსტების შერჩევაში დაცული არ არის ზომიერება: თითოეორი ტექსტით არის წარმოდგენილი ისეთი დიდი სოფლების მეტყველება, როგორიცაა ანაგა, მაჩხანა, ჩუმლაყი, ხოლო სოფლების — ოქიოს, ხოდაშნის, კისისხევის, შილდისა და მატნის მეტყველებიდან საშუალოდ ათ-ათი ტექსტია დაბეჭდილი, ზოგიერთ სოფელში ჩაწერილი ტექსტი კი წიგნში ვერ მოხვედრილა. ლექსიკონი არასრულია.

მართალია, ავტორებს იმიტომ არ შეუტანიათ წიგნში ზოგიერთი სიტყვა, რომ სხვა ლექსიკონებიდან არის ცნობილი, მაგრამ უამისოდაც რამდენიმე საინტერესო ტერმინი (ფიცვერიცხლი, მოფოკოლიავები და სხვ.) ახსნილი არ არის; ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვების შეტანაც საჭირო იყო ასეთ ლექსიკონში (ძიხვი, მუგზური), მაგრამ ამის მიზეზი ავტორებს მითითებული არა აქვთ. თუმცა ყველაფერი ეს უმნიშვნელოა წიგნის საერთო ღირსებასთან შედარებით.

ივ. ქავთარაძე.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲒᲐᲨᲘ

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთათვის მშობლიურ ენაზე ნიადაგმცოდნეობის სახელმძღვანელოს შექმნა პასუხსაგები და საპატიო ამოცანაა. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესორ დ. გედევანიშვილისა და დოცენტ გ. ტალახაძის ნაშრომი „ნიადაგმცოდნეობის კურსი“, რომელიც გასულ წელს გამოიცა.

ნიადაგის, როგორც საწარმოო საშუალების, განხილვის დროს ავტორები ემყარებიან ისტორიული მატერიალიზმის დებულებებს და სწორად დაასკვნიან, რომ „ადამიანს წარმოების პროცესში შეუძლია არსებითად შეცვალოს ნიადაგი, მისი ნაყოფიერების ელემენტები და თვისებები და ამით გაუდიტოს მას ეფექტური ნაყოფიერება. ამ მხრივ ნიადაგი ხდება შრომის პროდუქტად, კულტურულ ნიადაგად“ (გვ. 6). ამ დასკვნის დასაბუთებისათვის იქვე ახსნილია, რომ „უვარგის“ ნიადაგებად მიჩნეული ეწერი, ჭაობიანი, აგრეთვე მშრალი მხარეების ნიადაგები საბჭოთა ადამიანებმა გარდაქმნეს მაღალ ეფექტური ნაყოფიერების მომცემ ნიადაგებად. ამ ნაშრომში სრულ ასახვას პოულობს დევიზი: „არ არსებობენ ცუდი ნიადაგები, არამედ არსებობენ ცუდი მეურნენი“.

ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ მოძღვრების სწორად გაგებას ლოგიკურად მიეყავართ ნიადაგის ეგრეთწოდებული ჯლუბადი ნაყოფიერების ბურჟუაზიული „კანონის“ სრულ უარყოფამდე. როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა გვიჩვენეს, ეს „კანონი“ ობიექტურად არარსებული „კანონია“. კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ „მიწა თუ კი სწორად მუშავდება, სულ მუდამ ემჯობესდება“ („კაპიტალი“, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 391).

სამეწარმოქმედო პრაქტიკის განვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა გამოაშკარავა ნიადაგის ეგრეთწოდებული ჯლუბადი ნაყოფიერების „კანონის“ უსუსურობა და დაასაბუთა, რომ ეს „კანონი“ მოგონილია კაპიტალიზმის აპოლოგეტ ეკონომისტს და აგრონომ მეცნიერთა მიერ კაპიტალიზმის პირობებში მშრომელთა მათხოვრული საარსებო პირობების ნამდვილი მიზეზების მიჩქმალვისა და მშრომელთა მოტყუების მიზნით.

მოკლედ, მაგრამ არსებითად სწორად არის მოხაზული ნიადაგმცოდნეობის განვითარების მთავარი ეტაპები. ნაშრომში დასაბუთებულია რუსი მეცნიერების — დოკუჩაევის, კოსტიჩევის, სიბირცევის, გედროიცის, ვისოცკის, გლინკას, ვილიამსის და სხვათა როლი ნიადაგმცოდნეობის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში.

შესავალში გადმოცემულ ზოგად თეორიულ დებულებათა ფონზე გაშლილია მომდევნო თავების სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები.

წიგნის მეორე ნაწილი არსებითად ნიადაგების წარმოშობისა და მათი აგროსაწარმოო მნიშვნელობის დახასიათებას შეიცავს, რის გამო მას დიდი მეცნიერული და პრაქტიკულ-საწარმოო მნიშვნელობა აქვს. ნიადაგების ძირითად სახეობათა თვისებები და გამოყენების პირობები დახასიათებულია ვრცლად, გასაგებად და მკითხველთა ფართო წრეებისთვის მისაწვდომად. ცალკე თავად არის გამოყოფილი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისთვის საჭირო ღონისძიებათა სისტემა. პოპულარულად და საინტერესოდ არის გადმოცემული საქართველოს ნიადაგებისა და ძირითადი ნიადაგურ-ნედმეფიტური ზონების დახასიათება.

სახელმძღვანელო ამ ნაწილში ძირითადად აგებულია ჩვენი რესპუბლიკის კონკრეტულ მასალებზე, რომლებიც მიღებულია ავტორების მიერ ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგად.

სარეცენზიო წიგნს დადებით მხარეებთან ერთად ზოგიერთი ნაკლიც აქვს.

ნაშრომის მე-3 გვერდზე ვკითხულობთ: „დედამიწის გარეგან ნაწილს, რომელსაც ენარი აქვს დაკავაყოფილოს მკენარეთა და მასში მოსახლე სხვა ცოცხალ ორგანიზმთა მოთხოვნილება სასიცოცხლო პირობებით, — ნიადაგი ეწოდება“. ავტორებს კარგად მოეხსენებათ, რომ „სასიცოცხლო პირობები“ მარტო ნიადაგის ნაყოფიერების პირობებს როდი გულისხმობს; გარდა წყლისა და საკვები ნივთიერებებისა, მკენარის სასიცოცხლო პირობებში შედის სინათლე, სითბოთლე, ჰაერი; მართალია, მეცნარეები საკვებ ნივთიერებასთან და წყალთან ერთად ნაწილობრივ ჰაერსა და სითბოსაც იღებენ ნიადაგიდან, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს აღნიშნული ფაქტორები ნიადაგის ფაქტორებად ჩავთვალოთ. ეს მით უფრო არ ითქმის სინათლის შესახებ. საგულისხმოა, რომ ეს საკითხი შინაარსობრივად სწორად არის გადმოცემული წიგნის 35-ე გვერდზე, მაგრამ თვით ნიადაგის განმარტების ფორმულირება სცილდება ნიადაგის როლის გაგებას.

ცალკე ქვეთავი მიძღვნილია ნიადაგმცოდნეობის ამოცანებისადმი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ ეპოქებში. კარგია, რომ ნიადაგმცოდნეობის ამოცანები დაკავშირებულია საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნებთან. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ რატომღაც მთლიანად გამოტოვებულია მონათმფლობელობა, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, პირველყოფილ-თემური წყობილებიდან ავტორები უშუალოდ გადადიან ფეოდალურ პერიოდზე. გაუგებარია, რით არის ნაკარნახევი ასეთი ნახტომი.

წიგნში გვხვდება ზოგიერთი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებებიც. მაგალითად, 259-ე გვერდზე ნათქვამია: ვ. რ. ვილიამსის თეორია გამყინვარების შესახებ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ მხარეებში არ მართლდება: „...ყაზახეთის, შუა აზიის, ციმბირის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს გამყინვარება არ განუცდია. გამყინვარება არ განუცდია იგრეთვე ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ბარისა და დაბლმთიანი ზონის თითქმის მთელ ტერიტორიის“... 442-443 გვერდზე კი ვხვდებით საწინააღმდეგო მტკიცებას: „უდავოა, რომ მსგავსად რუსეთის ევროპა, გამყინვარება ჩვენმა ქვეყანამაც განიცადა, ყინულოვანი საფარის ზოლი მთავარ კავკასიონზე ამჟამადაც ნივალურ, მარად თოვლიან ზოლად არსებობს და მის თხემებს თეთრი ვარაყით ამშვენებს; ძველად ეს ყინულოვანი საფარი საკმაოდ დაბლა იყო ჩამოშვებული კავკასიონის ორივე მხარეს — სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე; გამყინვარების ნაშთები და მისი გავრცელების ხაზები დადგენილია მკვლევართა მიერ კავკასიონის სხვადასხვა სიმაღლეზე“.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, ეს სახელმძღვანელო მრავალმხრივ საინტერესო და ორიგინალური ხასიათის ნაშრომებია. იგი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სტუდენტებს და ნიადაგმცოდნეებს, არამედ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკებსაც.

დ. ცხოვრებელი,
დოცენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეგვიპტელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

დღეს ეგვიპტელი ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს ისტორიულ თარიღს — რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის დღეს. 1953 წლის 18 ივნისს ეგვიპტეში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, ხოლო სამი წლის შემდეგ, 1956 წლის 18 ივნისს, ინგლისის სოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნენ მისი ტერიტორიიდან.

არაბული სამყაროს მოწინავე სახელმწიფო ეგვიპტე ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარეობს. მისი ტერიტორია 994,3 ათას კვ. კილომეტრს უდრის, ე. ი. აღემატება საფრანგეთის, ჰოლანდიისა და იტალიის ტერიტორიებს ერთად აღებულს. მოსახლეობა 23,9 მილიონი კაცია.

მძიმე და რთული იყო ეგვიპტელი ხალხის გზა დამოუკიდებლობისაკენ. უცხოელ კოლონიზატორებთან უთანასწორო ბრძოლაში მრავალმა ეგვიპტელმა პატრიოტმა შესწირა თავი სამშობლოს თავისუფლებასა და კეთილდღეობას.

ეგვიპტეში 74 წელიწადს ინგლისელი იმპერიალისტები ბატონობდნენ. მაგრამ ეგვიპტელი ხალხი ვერ ურიგდებოდა უცხოელ კოლონიზატორებს. ინგლისის ჯარებს ეგვიპტელთა არა ერთი და ორი ავჯრყება ჩაუხშვიათ. ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებით 1919-1921 წლებში გაიშალა. მართალია, ინგლისელებმა ეს მოძრაობაც ჩაახშეს, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტელთათვის. ამ მოძრაობამ აიძულა ინგლისი 1922 წელს ეგვიპტე „დამოუკიდებელ“ სამეფოდ გამოეცხადებინა, თუმცა დამოუკიდებლობის დეკლარაციას იმდენი შენიშვნა ახლდა, რომ ფაქტიურად ეგვიპტე ისევ კოლონიად დარჩა და ეგვიპტელი ხალხის ანტიიმპერიალისტური გამოსვლებიც კვლავ გრძელდებოდა. ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის დასაშრეტებლად ინგლისელები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ პოლიტიკურ მანევრებს. ერთი ასეთი მანევრი იყო ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება „კავშირის“ შესახებ, რომელიც მხოლოდ ფორმალურად იცხადებდა ოკუპაციის შეწყვეტას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა ეგვიპტელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. 1951 წლის ოქტომბერში ეგვიპტის პარლამენტმა გაიუქმა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება. ინგლისმა არ ცნო ეგვიპტის პარლამენტის ეს კანონიერი გადაწყვეტილება და ნამდვილი კოლონიური ომი დაიწყო სუეცის არხის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამავე დროს ინგლისელმა იმპერიალისტებმა მომწიფებული ანტიიმპერიალისტური რევოლუციის ჩახშობის მიზნით გააქტიურეს რეაქციული ელემენტები ეგვიპტეში.

1952 წლის 26 იანვარს ეგვიპტის მეფის ფარუკის და რეაქციული ელემენტების მიერ მოსყიდულმა აგენტებმა პროვოკაციული მიზნით ცეცხლი წაუკიდეს კაიროში ინგლისისა და ამერიკის დაწესებულებებს და დაარბიეს ისინი. ამით ისარგებლა ფარუკმა, პროგრესული მთავრობა გადაყენებ და პრემიერად იმპერიალისტების სასურველი ალი მახერ-ფაშა დანიშნა, რომელმაც მაშინვე საგანგებო ზომები მიიღო. 26 იანვრის პროვოკაციამ და რეაქციის მიერ მიღებულმა ზომებმა გააძლიერა ხალხის მასების უკმაყოფილება. მდგომარეობა ჯარსაც მოედო. ასეთ ვითარებაში პატრიოტულად განწყობილი ეგვიპტელი ოფიცრები 1952 წლის 23 ივლისს სათავეში ჩაუდგნენ ეგვიპტის ეროვნული ჯარის ავჯანყებას. ფარუკი ეგვიპტიდან განდევნეს, ძალაუფლება გადავიდა ავჯანყებული ოფიცრებისა და მათ მიერ შექმნილი რევოლუციური კომიტეტის ხელში.

ავჯანყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ 1953 წლის 18 ივნისს ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა. 1956 წელს ეგვიპტემ მიიღო პირველი რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ეგვიპტელი ხალხი ამშენებს ისეთ საზოგადოებას, სადაც აღმოფხვრილი იქნება იმპერიალიზმი, ბოლო მოეღება ფეოდალიზმს და მონოპოლიების ბატონობას და დაწესდება სოციალური სამართლიანობა. კონსტიტუცია ითვალისწინებს მთელ რიგ დემოკრატიულ გარდაქმნებს.

ეგვიპტის ახალმა მთავრობამ მთელი თავისი ძალღონე წარმართა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისაკენ. მან მოახდინა მიწის რეფორმა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მძიმე ინდუსტრიის განვითარებასაც. იქმნება ენერგეტიკული ბაზა, შენდება მეტალურგიული ქარხანა, უკვე მწყობრში ჩადგა საავიაციო და სამხედრო ქარხნები, გაფართოდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა სუეცში, ვითარდება საფეიქრო და კვების მრეწველობა.

ეგვიპტის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, ანტიკოლონიალისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ეგვიპტის აქტიური მონაწილეობა ბანდუნგის კონფერენციაში და ბაღდადის პაქტის უარყოფა ამის მკაფიო დადასტურებაა. არაბული ქვეყნები ერთსულოვნად გამოდიან სამხედრო ბლოკების შეკოწიწების წინააღმდეგ. ეგვიპტესა და სირიას შორის, შემდეგ კი ეგვიპტესა და საუდის არაბეთს შორის 1955 წ. ოქტომბერში დადებული თავდაცვითი ხელშეკრულებები, რომლებიც არავითარ აგრესიულ მიზნებს არ ისახავენ, ხელს უშლიან ბაღდადის პაქტის გაფართოებას.

მაგრამ ეგვიპტის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვიდრე არსებობდა სუეცის არხის კომპანია—ეს „სახელმწიფო სახელმწიფოში“, რომლის მოგება უკვე 1930 წლისათვის 10-ჯერ აღემატებოდა არხის მშენებლობაზე დახარჯულ თანხას.

დღეს ეგვიპტელი ხალხი განსაკუთრებულ ვითარებაში დღესასწაულობს რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავს. გასულ წელს ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესორთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მან იარაღით ხელში დაიცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ეგვიპტელი ხალხის გმირული ბრძოლა საფუძვლად ედება მთელი არაბული სამყაროს ერთიანობას, მის ბრძოლას იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სუეცის ავანტიურის ჩაფუშვა, ეგვიპტელი ხალხის მორიგი გამარჯვება, არაბული სამყაროს ხალხთა მისწრაფება ერთიანობისა და კონსოლიდაციისაკენ სასტიკ გაფფთრებას იწვევს იმპერიალისტთა ბანაკში.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ შეკოწიწებული „ბაღდადის პაქტისა“ და „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ მიზანია ძირი გამოუთხარონ არაბული აღმოსავლეთის ხალხთა ერთიანობას, კვლავ დაუმორჩილონ ისინი უცხოეთის კაპიტალს. თავიანთი ბრალი ზრახვების განხორციელების მიზნით იმპერიალისტები ცდილობენ გამოიყენონ არაბული ქვეყნების რეაქციული, ფეოდალურ-არისტოკრატიული ფენები. ლიბანისა და იორდანიის მმართველი წრეების ანტიხალხური პოლიტიკის წყალობით ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ამჟამად გათიშონ არაბული ქვეყნები და ამრიგად კვლავ განახორციელონ ნაცადი კოლონიური პოლიტიკა — „გასთიშე და იბატონე“.

მაგრამ, მოვლენათა მსვლელობა აშკარად მეტყველებს, რომ არაბული აღმოსავლეთის მრავალმილიონიანი მასები მტკიცედ დგანან ეროვნული ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის პოზიციებზე.

წელს ივლისში ეგვიპტეში მოეწყობა პირველი რესპუბლიკური პარლამენტის პირველი არჩევნები, რაც ეგვიპტელი ხალხის მორიგი გამარჯვების საწინდარია ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის განმტკიცების გზაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხები მხურვალედ მოესალმებიან გმირ და შრომისმოყვარე ეგვიპტელ ხალხს და უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს დამოუკიდებლობისა და არაბული აღმოსავლეთის ხალხთა ერთიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

შ. კურდღელაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
რ. ბარაქალაია.

3. ულბრიხტის გამოსვლა მიჯინგზე ოდერის ფრანკფურტში

ბერლინი, 15 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი გუშინ ოდერის ფრანკფურტში, გამოვიდა მშრომელთა მიტინგზე, რომელსაც 40 ათასამდე კაცი დაესწრო. მისი სიტყვა მიეძღვნა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებს და გერმანიის გაერთიანების საკითხს.

შეეხო რა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას, ვ. ულბრიხტმა, კერძოდ, განაცხადა:

ყველამ იცის, რომ იქ, სადაც მონოპოლისტები და მილიტარისტები ბატონობენ, არსებობს უდიდესი საფრთხე მშვიდობისათვის. და მართლაც, დღეს ევროპის მშვიდობას კვლავ ემუქრება გერმანიის მილიტარიზმი. ჰიტლერელ გენერლებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს არავითარ დანაშაულს არ ერიდებოდნენ, ახლა მეთაურთა პოსტები უკავიათ დასავლეთ გერმანიის ჯარებში.

1956 წლის დეკემბრამდე ბონის არმიაში უკვე მიღებული იყო ფაშისტური ვერმახტის 8.200 გენერალი და ოფიცერი.

ყოველ გერმანელს, განაგრძო ვ ულბრიხტმა, უნდა ესმოდეს, რომ სანამ მთელ გერმანიაში ხელისუფლებას არ მოაშორებენ იმათ, ვინც ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე გერმანია და ევროპა ორჯერ ჩაგდო ომის საშინელებაში, ევროპის მშვიდობა უზრუნველყოფილი არ იქნება, ხოლო თუ მშვიდობა უზრუნველყოფილ არ იქნა, შეუძლებელია გერმანიის გაერთიანება.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან ნათლად უთხრა ეს სიმართლე მთელი გერმანიის მილიონობით მშრომელთ.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი, 15 ივნისი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტის გრონკის ოფიციალური კონსულტაციები მთავრობის კრიზისის ლიკვიდაციის მიზნით დამთავრდა. გუშინ გრონკიმ არაოფიციალური კონსულტაცია გამართა ქრისტიან დემოკრატთა პარტიის მდივანთან ფანფანისთან, სენატის თავმჯდომარესთან მერძაგორასთან და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან ლეონესთან.

კონსულტაციების დამთავრების შემდეგ გრონკიმ განაცხადა, რომ სურს „მონაწილეობა მიიღოს მთავრობის შედგენაში, რათა იგი შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს და პატივს სცემდეს პარლამენტის ავტორიტეტსა და პრესტიჟს“. პრეზიდენტის ამ განცხადებას დიდი წინააღმდეგობით შეხვდნენ მემარჯვენე პარტიები და პრესა, რომლებსაც იგი მიაჩნიათ „მარცხნივ გადახრის საფრთხედ“. სენატორმა ქრისტიან დემოკრატთა პარტიისაგან სტორკომ ისიც კი განაცხადა, რომ აპირებს პარლამენტში აღძრას პრეზიდენტის განცხადების „არაკონსტიტუციური“ ხასიათის საკითხი.

რომი, 15 ივნისი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, დღეს პრეზიდენტმა გრონკიმ სენატის თავმჯდომარეს მერძაგორას (დამოუკიდებელი) მიანდო „სინფორმაციო მისია“, ე. ი. კონსულტაციების განგრძობა, რათა გამოარკვიოს ისეთი მთავრობის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც პარლამენტში წინდაწინვე გარკვეული უმრავლესობა ექნებოდა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

15 ივნისის დიღის სხდომა

კოლომბო, 15 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ და დღეს დილადან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის დელეგატები მუშაობდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებისა და განიარაღების პრობლემების, მათ შორის თერმოტომგულის იარაღის და მისი გამოცდის აკრძალვის შესახებ რეზოლუციების პროექტებზე.

დელეგატებმა გამოჰყვეს სამუშაო ჯგუფები რეზოლუციების პროექტების შესამუშავებლად და დღეს შეიკრიბნენ დილის პლენარულ სხდომაზე, რომელზეც გრძელდებოდა დისკუსია საერთო საკითხებზე. დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წარმომადგენლის ქ-ნ სარჯონოს გამოსვლას. მან მთელი მსოფლიოს ქალებისა და დედების სახელით მრისხანე პროტესტი განაცხადა იმპერიალისტური ომის გაჩაღების გეგმების წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა პროფესორმა გრომადკამ განაცხადა, რომ მის ქვეყანას ერთსულოვნად გამოდიან სამხედრო ბლოკების შეკოწიწების წინააღმდეგ. ეგვიპტესა და სირიას შორის, შემდეგ კი ეგვიპტესა და საუდის არაბეთს შორის 1955 წ. ოქტომბერში დადებული თავდაცვითი ხელშეკრულებები, რომლებიც არავითარ აგრესიულ მიზნებს არ ისახავენ, ხელს უშლიან ბაღდადის პაქტის გაფართოებას.

მაგრამ ეგვიპტის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვიდრე არსებობდა სუეცის არხის კომპანია—ეს „სახელმწიფო სახელმწიფოში“, რომლის მოგება უკვე 1930 წლისათვის 10-ჯერ აღემატებოდა არხის მშენებლობაზე დახარჯულ თანხას.

დღეს ეგვიპტელი ხალხი განსაკუთრებულ ვითარებაში დღესასწაულობს რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავს. გასულ წელს ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესორთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მან იარაღით ხელში დაიცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ეგვიპტელი ხალხის გმირული ბრძოლა საფუძვლად ედება მთელი არაბული სამყაროს ერთიანობას, მის ბრძოლას იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სუეცის ავანტიურის ჩაფუშვა, ეგვიპტელი ხალხის მორიგი გამარჯვება, არაბული სამყაროს ხალხთა მისწრაფება ერთიანობისა და კონსოლიდაციისაკენ სასტიკ გაფფთრებას იწვევს იმპერიალისტთა ბანაკში.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ შეკოწიწებული „ბაღდადის პაქტისა“ და „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ მიზანია ძირი გამოუთხარონ არაბული აღმოსავლეთის ხალხთა ერთიანობას, კვლავ დაუმორჩილონ ისინი უცხოეთის კაპიტალს. თავიანთი ბრალი ზრახვების განხორციელების მიზნით იმპერიალისტები ცდილობენ გამოიყენონ არაბული ქვეყნების რეაქციული, ფეოდალურ-არისტოკრატიული ფენები. ლიბანისა და იორდანიის მმართველი წრეების ანტიხალხური პოლიტიკის წყალობით ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ამჟამად გათიშონ არაბული ქვეყნები და ამრიგად კვლავ განახორციელონ ნაცადი კოლონიური პოლიტიკა — „გასთიშე და იბატონე“.

მაგრამ, მოვლენათა მსვლელობა აშკარად მეტყველებს, რომ არაბული აღმოსავლეთის მრავალმილიონიანი მასები მტკიცედ დგანან ეროვნული ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის პოზიციებზე.

წელს ივლისში ეგვიპტეში მოეწყობა პირველი რესპუბლიკური პარლამენტის პირველი არჩევნები, რაც ეგვიპტელი ხალხის მორიგი გამარჯვების საწინდარია ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის განმტკიცების გზაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხები მხურვალედ მოესალმებიან გმირ და შრომისმოყვარე ეგვიპტელ ხალხს და უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს დამოუკიდებლობისა და არაბული აღმოსავლეთის ხალხთა ერთიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

შ. კურდღელაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
რ. ბარაქალაია.

15 ივნისის საღამოს სხდომა

კოლომბო, 16 ივნისი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებზე. დელეგატები ლაპარაკობდნენ, რომ საჭიროა ჩაშალოს აგრესორთა გეგმები და მხილებულ იქნას ომის გამჩაღებელთა მანევრები. დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დედამიწის ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანის მთავარ შეშფოთებას იწვევს ამერიკის ატომური ბაზების ქსელის მშენებლობა, რომლებიც განკუთვნილია დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ომების წარმოებისათვის.

ბევრი გამოსული აგრეთვე აღნიშნავდა, რომ „ეიზენჰაუერის დოქტრინა“ წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და დამონების იარაღს. ორატორები მხურვალედ მოუწოდებდნენ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ გეგმებს.

ბევრი დელეგატის სიტყვა ეხებოდა მეორე დიდმნიშვნელოვან პრობლემას, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახლანდელ სესიაზე განიხილავენ, — თერმოატომგულის იარაღისა და მისი გამოცდის აკრძალვის საკითხს.

დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს უნგრელი ეპისკოპოსის იანოშ პეტერის სიტყვა.

უამბო რა სესიის მონაწილეებს მხეცობაზე, მედგარი ძალების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა.

სესიაზე მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ერაყის მშვიდობის მომხრეთა დელეგატმა ა. შერიფმა. მან თქვა, რომ ცდილობენ ერაყელი ხალხი გახვიონ აგრესიული ბაღდადის პაქტის ბადეში და ერაყი გადაქცევონ ამერიკის ატომურ ბაზად.

შერიფმა განაცხადა, რომ ბაღდადის პაქტი აძლიერებს ომის საფრთხეს არა მარტო ერაყის ხალხებისათვის, არამედ მთელი აღმოსავლეთის ხალხებისთვისაც, და მკვეთრად დაგმო იმპერიალისტური აგრესია ეგვიპტეში. არაბთა სამყარო, თქვა შერიფმა, მადლობით იხსენიებს საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელის მთავრობამ ყველაზე კრიზისულ მომენტში უაღრესი სიმტკიცით მისცა გაფრთხილება აგრესორებს.

შემდეგ შერიფმა განაცხადა, რომ არაბი ხალხები მადლობით მოიგონებენ დახმარებას, რომელიც მათ მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან, აგრეთვე ინდოეთისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისაგან, რომლებმაც დაგმეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. აგრესორთა დამარცხებამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ცხადყო, რომ დგება კოლონიალიზმის აღსასრული. მართალია, სურთ იგი გადაარჩინონ „ეიზენჰაუერის დოქტრინით“, რომლის დახმარებითაც იმპერიალისტები ისწრაფვიან დამკვიდრდნენ ამ რაიონში და არაბული აღმოსავლეთის ხალხები წაჰკიდონ საბჭოთა კავშირს, მაგრამ ჩვენ, არაბები, განაცხადა მან, ვაპირებთ მტკიცედ ვიაროთ არჩეული გზით და არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქვეყანა გამოიყენონ პლაცდარმად თავისუფლებისმოყვარე ხალხებზე თავდასხმისათვის.

ისრაელის დელეგატა — ისრაელის პარლამენტის წევრმა ვილნერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ ომი აგრესიის სამარცხვინო აქტი იყო, რომელიც შეიძლებოდა მსოფლიო ომად გადაქცეულიყო.

მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, თქვა მან, ცდილობენ გაამართლონ ისეთი აგრესიული ომი, რომელმაც შეარცხვინა ისინი, ვიდე იგი გააჩაღა.

შეეხო რა აღმოსავლეთის პრობლემებს, ვილნერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი წინადადებანი ამ პრობლემებზე შეიძლება გახდეს ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგების საფუძველი.

დელეგატთა ტაშის გრიალში ვილნერმა ისრაელის უბრალო ადამიანთა სახელით დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა აზიისა და აფრიკის ხალხებს, რომლებიც თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოსწავლეთა IX სპარტაკიადა

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა ერთ-ერთი მასობრივი და მიმზიდველი შეჯიბრებაა. იგი წარმოადგენს სწავლასა და სპორტში წარჩინებულ გოგონათა და ჭაბუკთა ზეიმს, სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შემოწმებას.

სპარტაკიადაზე ერთმანეთს პირველობას ეცილებიან მოწინავეთა შორის საუკეთესონი. ეს ისინი იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, ამყარებენ ახალ რეკორდებს. საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის დასკვნითს შეჯიბრებას, რიცხვით მეცხრეს, წინ უძღოდა შიდასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო შეჯეიდრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ასეულ ათასობით ნორჩმა სპორტსმენებმა, მოსწავლეებმა.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა ზეიმად გიხსნა კვირას, 16 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. სპორტსმენთა პარადში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ნორჩ სპორტსმენთა საუკეთესო წარმომადგენლებმა — მძლეოსნებმა, ტანმოვარჯიშეებმა, ფეხბურთელებმა, ველოსიპედისტებმა, ჩოგბურთელებმა, მცურავებმა, მსროლელებმა. მათ მოჰყვებოდნენ მასობრივ ტანვარჯიშულ გამოსვლაში მონაწილე მოსწავლეები.

სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე. ალამი აღმართეს გასულ სპარტაკიადაში გამარჯვებულებმა. ყველის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა. მოსწავლე სპორტსმენთა კოლონები მწყობრი ნაბიჯით ტოვებენ სტადიონს. მოედანზე შემოდის 1.500-მდე გოგონა და ჭაბუკი, რომლებიც ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს, იმპროვიზებულ ცეკვა-თამაშობა. მოსწავლეთა მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლა მთავრდება სპორტსმენთა შეძახილებით — „მილიონთა ხმა ისმის — მშვიდობა გვინდა, მშვიდობა გვინდა“.

მოიდანზე გამოდიან ფეხბურთელები. შედგა მატჩი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდებს შორის, მოეწყო შეჯეიდრები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში. შეჯიბრება ფრენბურთში მიმდინარეობს სოხუმში, კალათბურთისა და წყალბურთში — ბათუმში. ნიჩბოსნობა მოეწყობა მცხეთაში, შეჯიბრება სპორტის დანარჩენ სახეობებში — თბილისის სასპორტო ბაზებზე.

სპარტაკიადაში მონაწილე სპორტსმენთა კოლექტივები გაყოფილია ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან: თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ყუთაისის სპორტსმენთა კოლექტივები. დანარჩენი გუნდები გაერთიანებული არიან მეორე ჯგუფში.

რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ, შედგენილი იქნება საქართველოს ნაკრები გუნდი. იგი მონაწილეობას მიიღებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც რიგაში გაიმართება.

* * *

სურათზე: საქართველოს მოსწავლეთა IX სპარტაკიადის მედროშეთა კოლონა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

სასამართლო

ბოროტმოქმედნი დაისაჯნენ

მიმდინარე წლის მაისში საგამომძიებლო ორგანოებში შემოვიდა ცნობა ქალაქ ქუთაისის კულტურისა და დასვენების პარკში მოქალაქე ჟ-ს გაუპატიურების შესახებ.

ექვსმა მოძალადემ სიკვდილის მუქარით ჩაიდინა საზიზღარი საქმე. მათ ქალიშვილი ჟ. გაუპატიურეს და გაძარცვეს — წაართვეს მაჯის საათი და 150 მანეთი.

ამ მოძალადეთა ჯგუფის საქმე გამოიძია ქალაქ ქუთაისის პროკურატურამ და ამ დღეებში განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ უმაღლესი სასამართლოს წევრის ამხ. გ. ი. ლომიძის თავმჯდომარეობით და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის ამხ. ა. ი. გიგაურის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესიის განაჩენით ბრალდებულებს რ. ვ. ჩიხლაძეს, ო. ვ. კოღუაშვილს, გ. გ. დემეტრაძეს, ბ. ვ. ბობოხიძეს, ზ. ი. ჯალაღანიას და ჯ. გ. ჩაკვეტაძეს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ოც-ოცი წლით.

ბრაზილიელთა მეოთხე მატჩი

ბრაზილიის კლუბის „ბაიას“ ფეხბურთელებმა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართეს კიშინიოვში ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სსრ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — მგზნებარე გული („კიკვიძე“), **ფილარმონია** — კიევის ესტრადის მსახიობთა კონცერტი (სახაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საბამთრო), **ფილარმონიის ბაღი,** ისანი (საბამთრო), **პლეხანოვისა** და **ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — მაშინ პარიზში, **ამირანი** (საბამთრო), **ძერჟინსკის სახელობის საბაფხულო კლუბი** — ილია მურომეცი, **ამირანი** (საზაფხულო) — ჟულიეტა, **ისანი** (საზაფხულო) — მზითვიანი ქალიშვილი, **სპარტაკი, თბილისი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პროცესი სამ მილიონზე, **კომკავშირელი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — მუსიკა მარსიდან, **26 კომისრის სახელობის** (საბამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — შემთხვევა კუნძულ სიციანზე, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლმეურნე** — ცხოვრების საგზური, **საქართველო** (მწვანე დარბაზი)— კოტოვსკი, **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი** — ნაცნობობა, **დიდუბე** (საზამთრო) — პოლესიური ლეგენდა, **ყაზბეგი** — ანა კისერზე, **კიროვის სახელობის პარკი** — საზღვარგარეთული ფილმი, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ეკატერინე ვორონინა, **ვაკის პარკი** — გიორგი საავაძე (I სერია), **კოლხიდა** (საზაფხულო)— მე ვიტყვი სიმართლეს, **დიდუბე** (საზაფხულო) — ბრძოლა ველზე, **კომუნარების ბაღი** — ვინ არის დამნაშავე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე — 1 საშტატო ერთეული.

2. ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (ექსპერიმენტული ფონეტიკის გახრით) — 1 საშტატო ერთეული.

მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და 3 ცალად წარმოადგენონ შემდეგი სახეობები: ავტობიოგრაფია, პარტიული და სამსახურებრივი დახასიათება, კადრების აღრიცხვის ფურცელი, სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო შრომების დახასიათება, შედგენილი სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ, ფოტოსურათი, დიპლომის, აგრეთვე, სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების სიბუთების პირები.

სიბუთების წარმოდგენის ვადაა 10 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

მისამართი: ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი 3-95-43.

ტელეგადაცემათა პროგრამა

18 ივნისისათვის

20.00 — გადაცემა მიძღვნილი ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენისადმი. 20.35 — ახალი მხატვრული ფილმი „საიდუმლო თანამგზავრები“.

მოქალაქე **ზინა ანუშავანის ასულმა ვარვარიძემ,** მცხოვრებმა დავითაშვილის ქ. № 3, აღძრა საქმე სასჯოს ქ. № 56 მცხოვრებ მოქალაქე **თოარ გიორგოს-ძე ვარვარიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილები ბაბილინა, მარიამ, სიძეები დავით თავამაიშვილი, იოსებ არობელიძე, **შვილიშვილები** ფატი, შოთა, გიორგი თავამაიშვილები, თარხან არობელიძე, სანა, ილია, ლოლა ღლონტები, რძლები მარო კიკნაძე, ეთერ ჩელაშვილი, სიძე რევაზ გიგინეიშვილი ოჯახებით იუწყებიან

ნატალია ნიკიფორეს ასულ ღლონტის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VI ს. ბოხვაურში (მახარაძის რ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე — 1 საშტატო ერთეული.

2. ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (ექსპერ